ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები თბილისის მცირე საოჯახო ტიპის სახლებში: არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები

მარიამ საბელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქ-ნ შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი:

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ საბელაშვილი

2022 წელი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანია მკითხველის ინფორმირებულობა თბილისის მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა მდგომარეობისა და ბავშვთა ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ. ნაშრომში აგრეთვე აღნიშნულია ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებსა და მომსახურებებში გამოკვეთილი სირთულეები და გამოწვევები.

აღნიშნული ნაშრომის კვლევისათვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარით. სამაგისტრო კვლევის რესპონდენტები იყვნენ ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“-სა და „კარიტასი“-ს მომუშავე პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომში აგრეთვე გამოყენებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზებიდან მოპოვებული სამეცნიერო სტატიები და ლიტერატურა, ასევე ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები.

კვლევაში გამოიკვეთა რამდენიმე სირთულე და საკითხი, როგორიც არის მაგალითად: ორგანიზაციის მოწყობა და სტრუქტურა, აღმზრდელების კვალიფიკაცია, საჭირო სპეციალისტებისა და სერვისების ნაკლებობა, სირთულეები დიაგნოზის დასმასა და მედიკამენტების შერჩევის პროცესში, კონფიდენციალურობის საკითხის დარღვევა, თანამშრომლობა უწყებებსა და სტრუქტურებს შორის, მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან პრობლემაზე საუბრის ნაკლებობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისა და იმავე მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები აღსაზრდელების თანაცხოვრებასთან დაკავშირებული სირთულეები, სტიგმისა და დისკრიმინაციის არსებობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის შესაბამისი აქტივობების ნაკლებობა და ინდივიდუალური ასისტენტის საჭიროება. მოცემული კვლევის მნიშვნელოვანი მიგნება არის ის, რომ ნაშრომით გამოიკვეთა ის სირთულეები და პრობლემები, რომლებიც აქტუალურია თბილისის ორი მცირე საოჯახო ტიპის

სახლებისათვის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის და მათთან მომუშავე პერსონალისათვის.

საკვანძო ტერმინები: ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქიკური დარღვევები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, სტიგმა, დისკრიმინაცია

Abstract

The main aim of the presented paper is to inform the reader about the condition of children with mental health problems living in small family-type homes in Tbilisi and the difficulties related to children's mental health. The paper also highlights the difficulties and challenges identified in child mental health services.

Author has used qualitative research methods for research, in particular interview with a semi-structured questionnaire and content analysis. The respondents of research were the staff of the Association "Georgian SOS Children's Village" and "Caritas". Content Analysis is used to study scientific literature, including articles from the scientific databases of Ilia State University, as well as various statistical data published on official websites.

The study identified several difficulties and issues, such as the organization and structure of the organization, the qualifications of caregivers, the lack of necessary specialists and services, difficulties in diagnosing and selecting medications, violation of confidentiality, cooperation between agencies and structures, lack of announcements of problems by service providers, difficulties in the coexistence of children with health problems and foster children living in the same small family-type home, the presence of stigma and discrimination, the lack of appropriate activities for children with mental health problems, and the need for an individual assistant.

An important finding of presented study is that difficulties and problems that are relevant for small family-type homes, children with mental health problems, and staff working with them were identified.

Key Words: Children’s mental health, mental disorders, foster home, stigma, discrimination

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი თემის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, რომელიც მაქსიმალურად იყო ჩართული კვლევის ყველა ეტაპში, მუდმივად მაწვდიდა საჭირო რჩევებსა და რესურსებს და მეხმარებოდა სამაგისტრო ნაშრომის სწორად წარმართვაში. ასევე მადლობას ვუხდი ასოციაცია „ეს-ო-ეს“ ბავშვთა სოფელსა და კარიტასში მომუშავე სპეციალისტებს კვლევის პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის.